

რამდენად აქტიურად გამოიყენება თანამშრომლობის პროგრამა საერთაშორისო პრაქტიკაში

თანამშრომლობის პროგრამის გააქტიურების აუცილებელი პირობაა:

- ა) სათანადო რესურსებით უზრუნველყოფილი კომპეტენტური სააგენტოს არსებობა, რომელსაც ექნება უნარი გამოავლინოს და აღკვეთოს კარტელური გარიგებები;
- ბ) საკმარისად მაღალი საჯარიმო სანქციები და
- გ) კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების პრაქტიკა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თანამშრომლობის პროგრამა გააქტიურდა ბოლო ათწლეულში. მაგ., პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისის 2010 წლის ანგარიშის თანახმად, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, ამ პროგრამით სარგებლობის 8 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის, ერთ-ერთი საყოფაცხოვრებო საღებავების რეალიზატორების მონაწილეობით. ფირმა, რომელმაც ამხილა კარტელი, ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, საერთოდ გათავისუფლდა სასჯელისაგან, მაშინ, როდესაც დანარჩენ ორ კომპანიას დაეკისრა ჯარიმა, შესაბამისად, 39 მლნ. და 9 მლნ. პოლონური ზლოტის ოდენობით).¹

რა ფორმით შეიძლება განაცხადის წარდგენა კონკურენციის სააგენტოში?

განაცხადი შესაძლოა წარდგენილი იყოს ზეპირად (ამ შემთხვევაში სააგენტოს სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს შესაბამის ოქმს) ან წერილობით (კონკურენციის სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით).

Annual report (2010), available at: <http://www.uokik.gov.pl>

რა კრიტერიუმებით ხდება ამა თუ იმ კატეგორიის გადაწყვეტილების მინიჭება?

განმცხადებლისათვის თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული ამა თუ იმ კატეგორიის შეღავათის მინიჭების აუცილებელი პირობაა, რომ განმცხადებელმა სააგენტოს ინფორმაცია მიაწოდოს მანამ ვიდრე ეს ინფორმაცია სააგენტოსათვის სხვა წყაროებიდან გახდებოდა ცნობილი. ამასთან, ყოველი შემდეგი განმცხადებლის საკითხი განიხილება როგორც განმცხადებელთა რიგითობის, ასევე იმის გათვალისწინებით თუ რამდენად ახალი და ღირებულია მოკვლევითისათვის მის მიერ სააგენტოსათვის მიწოდებული ინფორმაცია.

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ზანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net / www.eugbc.net



EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL

კარტელური შეთანხმებები და თანამშრომლობის პროგრამა

ქეთევან ლაფაჩი

კონკურენციის პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღების საგანია ჰორიზონტალურ შეთანხმებათა გარკვეული კატეგორია, რომელიც ცნობილია კარტელური გარიგებების სახელით, მათ შორის: შეთანხმებები ფასებზე (ფასების ფიქსირება, შეთანხმება ტარიფებზე, შეღავათებზე და ხარჯებზე); პროდუქციის წარმოების მოცულობის შეზღუდვა წინასწარი შეთანხმებით; ბაზრის დაყოფა ტერიტორიული, სასაქონლო, მომხმარებელთა კატეგორიის ან სხვა ნიშნით; ჯგუფური ბოიკოტი გაყიდვაზე ან შექმნაზე. კარტელურ გარიგებაში მონაწილეობა მკაცრად ისჯება.

საზოგადოდ, კარტელური შეთანხმებები ითვლება უპირობოდ კანონსაწინააღმდეგოდ (per se illegal) და შესაბამისი ქმედების უკანონოდ აღიარება არ საჭიროებს დამატებით კვლევას (მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, ერთადერთი, რაც საჭიროა მათი უკანონოდ ცნობისათვის, არის შეთანხმების ფაქტის დადგენა). განსხვავებით კარტელური შეთანხმებებისაგან, ჰორიზონტალური შეთანხმების სხვა სახეობების (მათ შორის, ერთობლივი მარკეტინგი, ერთობლივი რეკლამა, ერთობლივი შექმნა, ერთობლივი საწარმო, ინფორმაციული თანამშრომლობა, კვლევა და განვითარება და სხვ.) ანტიკონკურენციული ეფექტი სათანადო ანალიზით ფასდება და მათი კანონთან შესაბამისობა მიზანშეწონილობის / გონივრულობის წესით (rule of reason) განსჯის საგანია.

მრავალ ქვეყანაში კარტელური შეთანხმებები სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, მაშინ, როდესაც სხვა სახის ჰორიზონტალური შეთანხმებები ეკონომიკურ აგენტებს შორის, თუ დადგინდა, რომ ისინი ანტიკონკურენციულია, ისჯება მხოლოდ ადმინისტრაციული წესით. განსაკუთრებით მკაცრია მიდგომა ე.წ. „კოლუმბიური ტენდერების“ მიმართ, რადგან ეს უშუალოდ ეხება სახელმწიფო შესყიდვებს და ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს.

რას გულისხმობს და რა მიზანს ისახავს თანამშრომლობის პროგრამა

კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების რეგულირებასთან დაკავშირებით, საინტერესო უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ქვეყნებში დამკვიდრებული ე.წ. შემწყნარებლობის (Leniency) პროგრამა (რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებულად მოიხსენიება: იმუნიტეტის - Immunity program, შერბილების / შემწყნარებლობის / თანამშრომლობის პროგრამა - Leniency program და სხვა). პროგრამა ითვალისწინებს ანტიკონკურენციულ შეთანხმებებსა და გარიგებებში მონაწილე პირისათვის სასჯელის შემსუბუქებას, ან პირის სრულად გათავისუფლებას სასჯელიდან იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ამხელს შეთანხმების მონაწილეებს და ითანამშრომლებს აღმასრულებელ ორგანოსთან ფაქტის გამოძიების პროცესში.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ უპირობოდ კრძალავს ე.წ. კარტელურ გარიგებებს და მათზე არ ავრცელებს არც კანონით უმნიშვნელო საბაზრო ძალაუფლების მქონე ფირმებისათვის დადგენილ (ევროკავშირის კანონმდებლობაში ცნობილია ე.წ. „De minimis“ წესებით) და არც სხვა სახის გამონაკლისებს. იმავდროულად, კანონის ახალი რედაქცია (მუხლი 33¹) ითვალისწინებს გა-

რიგების მონაწილე პირის სრულად, ან ნაწილობრივ გათავისუფლებას კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან.

ვის შეუძლია ამ პროგრამით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობა?

საქართველოს კანონით გათვალისწინებულ თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობა და შესაბამისი შეღავათებით სარგებლობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც:

1. აღიარებს მონაწილეობას კანონის მე-7 მუხლის „ა“, „გ“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებაში, რომლის მიზანია, ან რომელსაც შედეგად მოსდევს შესაბამისად:

„ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);“

„გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება“;

„ვ) მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთ-შეთანხმებული ეკონომიკური აგენტების-თვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს“.

2. სააგენტოს ზეპირი ან / და წერილობით ფორმით მიაწვდის მისთვის ცნობილ ინფორმაციას და, თუ შესაძლებელია – მტკიცებულებას, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესახებ, ვიდრე ეს ინფორმაცია კონკურენციის სააგენტოსთვის სხვა წყაროებიდან გახდება ცნობილი;

3. უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან საქმის მოკვლევის პროცესში.

კანონით გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან / და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირებს შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება აიძულა.

ამასთან, პირი რომელიც ეცდება შეღავათის მიღებას ვალდებულია, რომ: არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, არ გაანადგუროს მტკიცებულებები და დოკუმენტები; შეწყვიტოს შეთანხმებაში მონაწილეობა, ან გააგრძელოს იგი მხოლოდ სააგენტოს თანხმობით; კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს სააგენტოს საქმის მოკვლევის პროცესში.

შეღავათების კატეგორიები, შეღავათებით სარგებლობის პირობები, განაცხადის წარდგენის პირობები და პროცედურა, გადაწყვეტილებების სახეები განსაზღვრულია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №20/09-2 ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესით“.

რა სახის შეღავათებს ითვალისწინებს თანამშრომლობის პროგრამა?

იმ კატეგორიის დარღვევებზე, რაზეც ვრცელდება თანამშრომლობის პროგრამა, გათვალისწინებულია ჯარიმა ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 5%-მდე, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში – ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 10% მდე.

თანამშრომლობის პროგრამა კი ითვალისწინებს სამი კატეგორიის შეღავათის მინიჭების შესაძლებლობას: პირველი კატეგორიის შეღავათის მინიჭება – გულისხმობს პირის სრულად გათავისუფლებას საჯარიმო სანქციისაგან, მეორე და მესამე კატეგორიის შეღავათი კი გულისხმობს სანქციის შემსუბუქებას შესაბამისად მისი 20-50% მდე და 20% მდე ოდენობით.